

ქართველი ოქროსმადიებლების სიმღერა

სამცხე-საათაბაგო

ჩვენ ოქროს ვეძებთ ერთ ხელში დაშნით,
სიცოცხლედ ჩვენი მისთვის გავწირეთ,
ნეტარ არს, როცა ბებერ მიწაში
იელვებს ოქრო, ვით სიყმაწვილე.
ნატარ არს, როცა ბრწყინვალე ზოდით
ბნელი გონება გაგვინათდება
და ცისარტყელას ციური ტოტი
თავს დაგვადგება ათინათებად,
საყვარელის თუ საკუთარ ბედზე
ჩვენ ოქროს ვეძებთ.

ჩვენ მხოლოდ იგი გვმატებს მხნეობას,
როცა ვიხილავთ მზისფერ ღინჭილებს,
შეაჟრიალებს ფლატე ხეობას,
სიხარულისგან ისე ვიკვივლებთ
და გავშეშდებით, როცა შემთხვევით
ზოდს შევეყრებით, ერთობ გოლიათს,
ჩვენ ზოდი იგი, სინათლის მფრქვევი,
უცებ მთვლემარე ლომი გვგონია.
საყვარელის თუ საკუთარ ბედზე
ჩვენ ოქროს ვეძებთ.

ჩვენი ცხოვრების უმთვარო გზაზე
ჩვენ მხოლოდ მისი შუქი გვიშუქებს;
ჩვენ ვმალავთ ოქროს, ვატარებთ ძაძებს
და ამნაირად ვატყუებთ თურქებს.
ასე რომ არა, ეს არემარე
მონობის თალხით დაისუდრება.
ჩვენ ოქრო გვიყვარს, მაგრამ მეტადრე
გვიყვარს ზვიადი თავისუფლება.
საყვარელის თუ საკუთარ ბედზე
ჩვენ ოქროს ვეძებთ.

ჩვენ ბატონებიც გვყავს ღირსეული -
სამცხის მრისხანე ათაბაგები,
დროდადრო უცხოდ დაყვითლებულნი
ხევიდან ხევში გადავბარგდებით.
ვატარებთ წერაქვს, ცხრილსა და ტომარს,
თუ ოქრო სადმე სხვის ხელში გაჩნდა,
მიჩვეულნი ვართ კლდეებზე ხლტომას
და უცხოს ყელში გავუყრით დაშნას.
საყვარელის თუ საკუთარ ბედზე

ჩვენ ოქროს ვეძებთ.

ჩვენ, ნაშიერებს მჭედელ ტომების,
ცეცხლოვან თვალებს გვითრობს ლითონი,
მზეს რომ ვუყურებთ, ოქროს ლომები
იბადებიან დიდრონ-დიდრონი.
ჩვენ ვთხრით და ვცხრილავთ და ისე ფრთხილად,
რომ მიწამ შრომა არ გაგვიოხროს,
ჩვენთვის ვიტოვებთ ცარიელ სილას,
დიდ ბატონებს კი ვუგზავნით ოქროს.
საყვარელის თუ საკუთარ ბედზე
ჩვენ ოქროს ვეძებთ.

ჩვენ ამავე დროს ვართ მეომარნი,
ომში ხალიბურ ხმაღს ვახელებდით,
ჩვენი სამშობლო სახელოვანი
არტაანია და სამღერეთი,
სადაც ბარს როგორც დაჰკრავ მიწაზე,
შემოგანათებს განძი ბებერი,
სადაც ჩვენ ვიშვით და გავიზარდეთ –
ქართველი ოქროსმადიებელნი.
საყვარელის თუ საკუთარ ბედზე
ჩვენ ოქროს ვეძებთ.